უძველეს დროში, ფულის გამოგონებამდე, ადამიანები ერთმანეთს ჩუქნიდნენ, სესხად აძლევდნენ ან პირდაპირ ცვლიდნენ ერთმანეთში საქონელს. მაგალითად, ცხვარი შეიძლებოდა მარცვლეულსა ან ბოსტნეულზე გაცვლილიყო. საქონელგაცვლას „ბარტერი“ ეწოდება. ბარტერის ყველაზე ადრეული მაგალითები ეგვიპტეში ძვ. წ. 9000 წელს გვხვდება. მხარეები, რომლებიც ბარტერულ გარიგებაში იყვნენ ჩართულნი, ერთმანეთში თანხმდებოდნენ, თუ რა ღირებულება ჰქონდა ამა თუ იმ საქონელს. მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმებულიყვნენ, რომ 10 ქათმით 1 ღორის, ხოლო 15 კვერცხით – 1 კგ. ხორბლის ყიდვა იყო შესაძლებელი. ცხოველის ტყავი, მარილი, იარაღი და სამუშაო ინსტრუმენტები ადვილად გაცვლად საქონლად მიიჩნეოდა.

ძვ. წ. 1200 წელს, ინდოეთის სანაპიროებზე საქონლის გაცვლა–გამოცვლის, ანუ ბარტერის პროცესში, აქტიურად გამოიყენებოდა ნიჟარები. ნიჟარა მონეტის წინამორბედად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ძვ. წ. 1100 წელს, ჩინეთში, ბარტერულ გარიგებებში აქტიურად დაიწყეს ბრინჯაოს გამოყენება. ბრინჯაო ნელ–ნელა ფულის უნივერსალურ ფორმად იქცა.

პირველი მონეტები თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ლიდიას სამეფოში ძვ. წ. 600 წელს დამზადდა. ეს მონეტები იყო მრგვალი, მზადდებოდა ოქროსა და ვერცხლის ნაზავით, და მათზე ლომი იყო გამოსახული.

ჩვ. წ. მე-10 საუკუნიდან ჩინეთში ქაღალდის ფულის აქტიურად გამოყენება დაიწყეს. ამ ადრეულ ფულზე დატანილი იყო გაფრთხილება, რომლის მიხედვითაც, ფულის გამყალბებლებს თავის მოკვეთით დასჯიდნენ!

1290 წელს მარკო პოლომ ჩინეთში იმოგზაურა და აღმოაჩინა, რომ იქ ქაღალდის ფულს იყენებდნენ. მან ეს გამოგონება ევროპაში ჩამოიტანა.

ქაღალდის ფული ევროპაში 1661 წლამდე არ არსებობდა. ამ წელს, შვედეთში პირველი ბანკნოტი დაიბეჭდა.

1860 წელს „ვესტერნ იუნიონმა“ (Western Union) ფულის ტელეგრაფით გადარიცხვის მეთოდი გამოიგონა.

1946 წელს ნიუ იორკში ბანკირმა ჯონ ბრიგსმა პირველი საკრედიტო ბარათი გამოიგონა.

1967 წელს ლონდონში გამომგონებელმა ჯონ შეფერდ ბარონმა პირველი ბანკომატი გამოიგონა. ამბობენ, რომ ჯონს ეს იდეა, არქიმედეს მსგავსად, აბაზანაში დაებადა!